



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
15.11.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 7

    1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 7

    2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..... 8

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ბადრიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ქვათაძე, ბაუ ინტერნეიშენალ იუნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Work and Organizational Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ფსიქოლოგიის მაგისტრი MA in Psychology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია / Psychology, 0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული. N1428368; 14.12. 2021
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან. პროგრამამ 2011 წლის 11 ნოემბერს მიიღო აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №294, 11.11.2011).

პროგრამამ რეაკრედიტაცია გაიარა 2021 წლის 14 დეკემბერს, (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N1428368. ექსპერტთა რეკომენდაციებზე ანგარიშის წარდგენის განხილვის შემდგომ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (30.05.2023) დაწესებულებას მიეცა დამატებითი 60 დღიანი ვადა შემდეგ ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებული ხარვეზების გასასწორებლად:

1. (1.4) სავალდებულო და არჩევით კურსები გაიმიჯნოს მოდულების ფარგლებში და აისახოს კურიკულუმის რუკაში;
2. (2.4) „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერი „სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

#### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია 2.4 ქვესტანდარტის მოთხოვნებთან და მეტწილად შესაბამისობაშია 1.4 ქვესტანდარტის მოთხოვნებთან.

### ▪ რეკომენდაციები

სავალდებულო და არჩევითი კურსები გაიმიჯნოს მოდულების ფარგლებში და აისახოს კურიკულუმის რუკაში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

**„არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არგაზიარების შესახებ ინფორმაცია“**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას („1.4 სავალდებულო და არჩევითი კურსები გაიმიჯნოს მოდულების ფარგლებში და აისახოს კურიკულუმის რუკაში“) არ იზიარებს ინსტიტუცია, ვინაიდან, თვლის, რომ პროგრამა შედგება სავალდებულო მოდულებისგან, რომლებიც მოიცავს არჩევით საგნებს და ინტერესების მიხედვით საგნების არჩევა იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტები გავიდნენ პროგრამის სწავლის შედეგებზე.

ასევე, ინსტიტუცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, ვინაიდან, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანების დანართი 6 #2 სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“-ს (მ.6.) თანახმად, „ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით“.

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შედგება სამი მოდულისგან: 1) შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, 2) კვლევა და შეფასება და 3) პიროვნება, ჯგუფები და მართვა. თითოეულ მოდულში შეთავაზებულია სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტმა საკუთარი ინტერესების შესაბამისად უნდა აირჩიოს. ამასთან, თითოეულ მოდულში მითითებულია ის მინიმალური კრედიტების რაოდენობა, რაც უნდა დააგროვოს სტუდენტმა.

რეკომენდაცია ეხებოდა მოდულების ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი კურსების გამიჯვნას. დაწესებულება მიიჩნევს, რომ პროგრამის სტრუქტურა არ საჭიროებს ცვლილებას და არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანების დანართი 6 #2 „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“-თან (მ.6. პ.6), რომლის თანახმად, „ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით“, რამდენადაც თითოეულ მოდულში სტუდენტები ვალდებული არიან აირჩიონ საგანთა გარკვეული რაოდენობა. მაგალითად, პირველი მოდულიდან შეთავაზებული 50 კრედიტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 40 კრედიტი, მეორე - 47 კრედიტიდან, სულ მცირე - 37 კრედიტი. ხოლო მესამე მოდულში 23 კრედიტიდან - 13 კრედიტი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას არ აქვს აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

რეკომენდაციები:

სავალდებულო და არჩევითი კურსები გაიმიჯნოს მოდულების ფარგლებში და აისახოს კურიკულუმის რუკაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.4. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ს შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას სტუდენტების შეფასების ნაწილში, რომელიც წარმოადგენს 2.4 ქვესტანდარტს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული ჰქონდათ რეკომენდაცია. კერძოდ, „სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში“ (მ.11, პ. 11.7) არსებული ჩანაწერის შესახებ:



„სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია“ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (მ.4, პ.19), რომლის თანახმად F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ 60 დღიან ანგარიშში მითითებულია რომ, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის 41-50 ქულით (FX) შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო 40 და ქვემოთ ქულის (F) მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა უსდ-ს მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში, რომელიც ემთხვევა ანგარიშში მოცემულ ჩანაწერს. კერძოდ, მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების 11.8. პუნქტში მითითებულია რომ, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის 41-50 ქულით (FX) შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო 40 და ქვემოთ ქულის (F) მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულების თანახმად, უსდ-სთვის ზემოთ მოცემული რეკომენდაცია აღარ არის რელევანტური.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დანართი 3. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

- დანართი 1. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (15 გვერდი)
- დანართი 2. საბჭოს სხდომის ოქმი N 2 7.02.2022 (6 გვერდი)
- დანართი 3. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა (7 გვერდი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“, მაგისტრატურა

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**ხელმოწერები:**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნათია ბადრიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ანა ქვათაძე

